

მეცნიერებათა

აკადემიის ბულეტენი

აკვენილთა ლუკსეული წარწერების МАЦІЯ ბალხის
ილენტიზიკაციის საკითხისათვის¹



1. *Matija* (მაჩია) რომელიც ბალხის სახელწოდება აკვენილდების ლუკსეულ წარწერებში გვხვდება იგი დღემდის ცნობილი ვრცელი წარწერებიდან შემდეგში:

1. Dar. NRA 3-ში, — მოცემულია ძვ. სპარსულ ტექსტში *matija*, მის შესატყვის ელემრთა რიგში *ma-a-g-i-y-a-a-p*, დაბლიონურში *ma-a-g-i-y-a-a*.

2. Dar. Sus.e-ში, — ძვ. სპარსული არაა შენახული, ელემრთა აგრეთვე, ხოლო დაბლიონურში *ma-gi-du-u*.

ს. ს. მ. მ.

3. Xerx. Pers.-ში, — ძვ. სპ. *matija*, ელემრთა არაა შენახული, დაბლიონურში *ma-a-g-i-y-a-a*.

მოხსენებულია აგრეთვე NRe-ში (ე. წ. „ხალხთა ტიპების“ წარწერაში), — ძვ. სპ. *matija*, ელემ. *ma-a-g-i-y-a-a*, დაბლიონურში *ma-a-g-i-y-a-a*.

ამ ხალხის ვინაობის შესახებ უკანასკნელად გამოთქვა აზრი F. H. Weissbach-მა ([1], 167); მან გაიზიარა Meillet-ის შეხედულება: *matija* (nom. pl.) ნაწარმოებია *Maka* ქვეყნის სახელწოდებისაგან, რომელიც გვხვდება Bli. I § 6, 17-ში და Dar. Pers.-ში (ძვ. სპ. *maka*, ელემ. *ma-a-k-i-a*, ბაბ. არ შენახულია) ([2], 107, 153)¹.

უკვერე თუ არა მხარს ამ ფონეტიკურ-გრამატიკულ შესაძლებლობას ისტორიულ-რეალიზაციის მონაცემები — იმ დებულების დასამტკიცებლად, რომ *matija* ხალხის სახელწოდება გამოშინარეობს *Maka* ქვეყნის სახელწოდებისაგან, და, თუ არა, ეინ შეიძლება იგულისხმებოდეს ამ ეთნიკურ სახელში?

Maka-საგან *matija*-ს, როგორც ეთნოსის აღმნიშვნელი ზღვარათვის, წარმოება სრულიად კანონზომიერია; მაგრამ, ცხადია, ეს არ ემარა ამ ორი სიტყვის ისტორიის ერთიანობის საკითხის გადასაწყვეტად, თუ (ან სანამ) ვიმორიციული არა უყვალ სხვა შესაძლებლობა. ასეთი გამორიცხვა აუცილებელ

¹ ნაწილი სპ. სო ბენ აკად სპოციალიზაციის გენეტიკა. და VIII სტრატე 1942 წ. 26 იტობების წაქიზებული მოხსენების

² ვისიბან იქვე მოკავს საკითხის მოკლე ისტორია. დაემატებ მხოლოდ, რომ *matija* იდენტობისათვის ჩვეულოდ ადრიაკის *Makia*-სთან, რასაც მათი დებობა Yust-მ გენეტიკა უმრავლესობისათვის ერთად, იკ-ედა ჯერ კიდევ Oppert და იკავს Hommel ([3], არ გაიზიარა ნაღვ შეხედულება A. Christensen-მა ([5], 254) და W. Eilers-მა ([6], 201). E. J. Meyer ფიქრობს, რომ *matija* და *kak* პონტოს ხალხებისათვის, რომლებიც მონათავსებულნი იყვნენ ბაბუა, *kak* ს კი ათეობს კოლხებთან ([4], 109).



ლა—მეტადრე იმ შემთხვევაში, თუ ამ სახელის მისაკეთებისათვის სხვა პრეტენდენტი არსებობს. მაგ., სანამ არაა გამორიცხული, რომ იმავე სახელს (*მატიყა*) შეეძლო აღენიშნა არა მხოლოდ *მაკა* ქვეყნის ხალხი, არამედ სხვა (ანალოგიური ფაქტები არაა იშვიათი, ე. ი ხშირია ერთი და იმავე სახელწოდების ხმარება სხვადასხვა ეთნიკური თუ გეოგრაფიული ერთეულის აღსანიშნავად), ან სანამ არაა გამორიცხული *მატიყა*-ს დამოუკიდებელი არსებობის შესაძლებლობაც, ე. ი. რომ შეიძლებოდა არსებულიყო, *მაკა-მატიყა*-თან ერთად, სადმე სხვაგან, ირანული სფუიქსით [-იყ] გაფორმებული *მატი* ფუძე (ამის ნიმუშის მოძებნაც, ვფიქრობთ, არ გაჭირდება) და სხვა,—მანამ ძნელია საკითხის საბოლოოდ გადაჭრილად მიჩნევა, როგორც ამას ვაისბახი სჯლის ([1], 167).

მატიყა სახელის მისაკეთების სერიოზულ პრეტენდენტად ჩვენ მივაჩნია ეთნიკური სახელი „მუხხ“-ი—თავისი ფონეტიკური სახესხვაობით (იხ. ქვემოთ).

პირველი ჩვენი დაქვეება მეფე—ვაისბახის შეხედულებაში გამოიწვია იმან, რომ უწრადღებამ მივაქციეთ *მაკა* ქვეყნისა და *მატიყა* ხალხის ტერიტორიულ ურთიერთობას წარწერათა ტექსტის მიხედვით, სახელდობრ: *მაკა*, როგორც ქვეყანა, დასახელებულია მხოლოდ ძველი ირანის აღმოსავლეთ ქვეყანათა რიგებში (Bh. I § 6 *bāytrīš; suguda; ga'dāra; saka* *ḡatagūš harauratīš. maka-*; Dar. Pers. e *harauratīš hindui; ga'dāra; saka; maka*), ხოლო *მატიყა*, როგორც ხალხი,—უშუალოდ დასავლეთის ქვეყანათა შორის (Dar. NRA 3 *pu-tiya; kufiya. maṭiya; karkā*; Xerx. Pers.: *maṭiya; arabiya; ga'dāra; hi'dui; katpatuka; dāha*...); თვით NRe-შიც საშვებოთიდან ჩრდილოეთისაკენ მიყვავართ „ხალხთა ტიპების“ რიგსა და დასახელებას (...*iam pūsa, ...māda, ...sajja, ...parāva, ...saka, .. bābiruš, . adurya, ...maṭiya*). მხოლოდ Dar. S. a. e-ში დასახელებული *მატიყა* აღმოსავლეთ ქვეყანათა რიგში.

შევიხიწათ აქვე, რომ Xerx. Pers.-ში *მატიყა*-ს ეგულისხმობთ უფრო დასავლეთით, ვიდრე აღმოსავლეთით, რადგანაც იგი წინაშეა *arabiyā; ga'dāra; hi'dui*-ს, ე. ი. თანრიგის მიმართულებაა დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ (და შემდეგ ისევ დასავლეთისაკენ—*katpatuka dāha*)¹¹.

მაშასადამე, *მაკა* ქვეყანა და *მატიყა* ხალხი სხვადასხვა ტერიტორიაზე ჩანს წარწერების მიხედვით.

ამის შემდეგ უწრადღებამ მივაქციეთ იმ არაუწინაშელო გარემოებასაც, რომ *მატიყა* გვხვდება იმავე ნუსხაში, რომელშიც *karkā*¹², ამას კი აიგივებენ, სხვათა შორის, „კოლხებ“-თანაც, მაგ., [7] და სხვ. (NRA-ში ერთმანეთის გვერდითი კი არიან დასახელებულნი), მაგრამ არც ერთივე არ გვხვდება *მაკა*: იმ ნუსხებში, სადაც არის *karkā*. როგორც ჩანს, *მატიყა*-სა და *karkā*-ს შორის იყო რაღაც ურთიერთობა, რაც არ იყო *მაკა*-სა და *karkā*-ს შორის.

ჩვენი უწრადღებამ მიიპყრო იმ ფაქტმაც, რომ თითქმის ბოლოშია დასახელებული როგორც *მატიყა* (NRA, NRe და Xerx. Pers., ე. ი იმ ნუსხებში, რომლებშიც მას მიუთითებენ ძველი ირანის დასავლეთით), ისე *მატიყა*:—*ματτιγια-αυ* პერიოდურტესთან 19-ე სათრაპიაში (წ. III, 94), რომელი გარემოებაც შე-

¹¹ ამათ შესახებ სხვა დროს გვქვება შემთხვევა გარეთქვით ჩვენი აზრი.

საძლოა ასახედეს როგორც მათს გეოგრაფიულ მდებარეობას, ისე პოლიტიკურ ურთიერთობასაც ცენტრალურ ხელისუფლებასთან.

ერთი მხრით, ჰეროდოტესთან მისხებისა და მისხენიკების მოხსენებულობამ (*Μισθιας, Τιμαρεια, Μαχριας, Μοσασιας, Μαρι;* (შეად. [8]), მეორე მხრით, *μασασια*-ს ეტიმოლოგიზირების ცდებმა ([9], 24, 25) და ([10], 258), ხოლო უკანასკნელ, *μαχια*-სა და *μασασια*-ს ერთმანეთთან დაკავშირების შესაძლებლობამ დააყენა საკითხი. ხომ არ უკავშირდება *mal'ia* ამ ორ უკანასკნელ სახელწოდებას—როგორც ფონეტიკურ-გრამატიკულად, ისე რეალიზირების-ისტორიულად?

ამ საკითხის დაყენების მიზანშეწონილობაში დამარწმუნა კიდევ ერთმა გარემოებამ, სახელდობრ, *mal'ia*-ს ბაბინოლერმა სახელწოდებამ *"ga-du-ii* რომლის შესახებაც ვინახავთ [1] ამბობს. გაუგებარია ჯერჯერობით, თუ საინდინაო ამ ხალხის ორი (იგულისხმე აქ მეორე) სახელწოდებაც (*-Wie dieses Volk zu den zeh Benennungen gekommen sein mag, ist vorläufig unklar*); შესაძლებელია, *"ga-du-ii* გადმოსცემდა ისტორიულ ლაღო-ს, რომელიც მთის სახელწოდებადაა შემონახული („ლაღო-ფერსათის მთები“) ისტორიულ შესებთში ([11], 128 და *passim*) და რომელიც აქემენიდების დროს შესაძლოა ეთნონიმურად სახელიც უფილიყო¹.

II. *mal'ia*-ში *-ia* წარმოადგენს ეთნიკური ეუთონიმების აღმნიშვნელ წარმოებულ სუფიქსს ქვეყნის სახელისაგან ([2], 153). ამატომ საანალიზო ფუნქციონირება აქ ზედა მიგვაჩინა *mal'*, რომლისაც კავშირი უნდა ჰქონდეს მესხ-/-მცხ- (სამცხე-)-სთან. ზედა არ გვაქვს იმის ნიშნები, რომ ქართ. -სხ- კომპლექსს შეესატყვისებოდეს ძე სპარსულში *l'*, მაგრამ ქართ. ც აფრიკატი სრულიად კანონზომიერად შეიძლება გადმოცემული უფილიყო ძე. სპ. *l'* აფრიკატი, რომელიც, თავის მხრივ, სემიტურ დანაწილებებში ჩვეულებრივ გადმოცემა *ξ* (*μαλ'ια*-თი ([14], 19) (იხ. ზემოთმოყვანილი ძე სპ *mal'ia*-ს შესატყვისი ელამური *l' ma-l'i-ia-a-p* და ბაბ. *mal'-u*).

რაც შეეხება მესხ-/-მცხ- ფუნქციონირებას, ამის შესახებ არსებობს ნ. მარის საკმაოდ განმტკიცებული აზრი, რომ „სა-მცხ-ე < *ხა-მესხ-ე. *სა-მესხ-ე“, ე. ი., რომ -მესხ- მიღებულია მესხ-ისაგან ე-ს ამოვარდნის და ხ-ს ც-დ ქვეყნის შედეგად; იხ. მაგ ([12], 440) და ([16], 229) მაგრამ მესხ- ფუნქციონირებას და მტკიცებული არაა და, ვფიქრობ, ვერც დამტკიცდება იმ ეპოქის მიმართ (VI—V სს.), რომელიც აქ გვინტერესებს, და -სხ- კომპლექსის -ცხ-დ ქვეყა არ ჩანს კანონზომიერ მოვლენად². ამატომ უნდა ვიფიქროთ, რომ -სხ- და -ცხ- წარმოადგენენ ერთი და იმავე ეთნოსის სახელწოდებაში დიალექტობრივს ძველ ფონეტიკურ შესატყვისობას, ე. ი., რომ მესხ-/მცხ- ფუნქციონირება ერთი და იმავე ან ახლო მონათესავე ორი ხალხის სახელწოდების დიალექტალური ფუნქციონირება. ამგვარად შესაძლებლად მიგვაჩინა მოვხსნათ საკითხი ერთ-ერთი ამ

¹ ძველ ქართულ წყაროებში ლაღო-ს ზოგად სახელად არსებობა, რაზედაც მიმითითა ა. დ. კ. ცხველიძემ, ვფიქრობ, არ გამოირჩევა ამ მოსაზრებას

² ზოგადად დიალექტობრივი ფაქტი [მაგ., ზედა ცხი სხა, იხარ უკანა (მუხრანულა-5 ნაშენი-არა—45. ბკობ-ვა) სხვენი] არ კნაოა კანონზომიერების დასადაგნად

ფუძეთაგანის უძველესობის შესახებ—იმ ეპოქის მიმართ (V—V სს.) და აქეთ, რომლებზეც აქ ლაპარაკია: საჭმე გვაქვს სინქრონულად არსებულ ფუძეებთან¹¹.

როგორც ჩანს, მესხ პროლექციული ფუძეა ძველთაგანვე. რეალურად დადასტურებული გვაქვს მისი ხმოვანმონაცვლეობითი სახეობები. ამ ფუძის სამგვარი გახმოვნების შესახებ ცნობილია ნ. ბარის აზრი, მაგ. ([12], 439): „*Alcax* ხ.ხ. *აძაქს* ი.ხ. *აძაქს*, *აძაქს* აძაქს“¹². ფუძის ე და ო საფეხურები დადასტურებულია საქმაოდ—როგორც ბერძნული, ისე ქართული წყაროებით; შეიძლება დაემატოს მხოლოდ უ საფეხური (სოფელი მუხხი მესხეთში ([13], 3, 6), აქედან მუხხელიშვილი). რომელიც ო საფეხურის სახესხეობას წარმოადგენს. თუ მახხლია გვარში დაეულია იგივე ფუძე¹³, მაშინ გვექნება დადასტურებული მესხ-*ქასხ-მოსხ/მექს-ფუძეები*.

უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ფუძეები ირანა უძველესი, თუ მხედველობაში ვიქონიებთ, რომ -ხ- მათში მრავლობითის მაწინამოებელია ეთნიკური ერთეულის აღსანიშნავად, იხ. მაგ. ([20], 33). მაშასადამე, საფუძველი აქვს უ-ბ-ანოდ მათი არსებობის დაშვებას უძველეს დროში და -ხ-ანიანთან პარალელურადაც, როგორც ანას ადგილი ჰქონდა ტაო II *Təax*-ში. უ-ბ-ანო ფუძეები შეიძლება ფაქტიურად არც კი შემონახულიყოს, გადანაშთის სახითაც კი, ქართველურ ენებში¹⁴, მაგრამ ასეთის შესაძლებლობას მოწმობს ტაო< ტაოხი.

ამიტომ ყოველი ფაქტი, რომელიც ოდნავ მაინც ზიუთითებს ჩვენი ფუძის უ-ბ-ანოდ არსებობაზე, ურადღების ღირსია. ასეთია, მაგალითად, ჰეგო ვინკლერის აზრი იმის შესახებ, რომ *Mita Muku*-ელი და *Midas* ფრიგიელი ერთი და იგივეა, ე. ი. აქ მითითებულია მუშქებისა და ფრიგიელთა ნათესაობაზე, და აღბრებტ გოცეცს აზრი მუშქების დაკავშირების შესახებ *ჟაჟ-ფ-სთან*, რომელნიც ფრიგიელთა ახლო მდებარედ არიან დასახელებულნი ([5], 187)¹⁵. მაშასადამე, თუ გვიზიარებთ ა. გოცეცს აზრს, მუშქ- | ინუ მუხხ- | და *ჟაჟ- (მუ-ს)* ფუძეები ისევე შეუფარდებიან ერთმანეთს, როგორც *Təax*- და ტაო.

გვაქვს თუ არა უფლება დავუშვათ, -მცხ- ფუძის არსებობის (სა-მცხ-ე-ში) საფუძველზე, მესხ-/მესხ-, -მასხ-/მასხ-, მონხ-, მუხხ-/მონხ-, მუს-ის ანალოგიით, აგრეთვე *მცხ-/*მცე-, *მასხ-/*მასე-¹⁶, *მონხ-, *მუხხ-/მონე-, მუც-ის არსებობის შესაძლებლობა? ვფიქრობ, რომ გვაქვს

¹¹ არანა უაზრადღებოდ დასატოვებული ეახუშტის ([11], 121) ყოფიანი იმის შესახებ, თუ საიდანაა სახელწოდება მესხი და რამდენად ძველია იგი: „ყოველთა ამათ ადგილებთა და ქვეყანათა კრებით უწოდებენ მესხს, იგივე ძველი სახელი სამცხეთოსა, და სიბოკლოსათს მესხბითიჟისი“, და იქვე უწინაშეა: „... მონხი, ესე იგი არის მესხი... მცხეთოსისა და მცხეთოსაგან იწოდებ სახელი ჟე, და არს ძველიოვე“.

¹² ულ მაწინამოებელს აქ არ ეხებათ; შესაძლოა იგივე ფუძე შემანახული გვეყონდეს აგრეთვე *მასხრაშვილი*, რომელშიც -არ- მაწინამოებელი ღერო გაამარჯლებდა მცხეთოსის ნორმებს, არც ამაზე ვერძლება.

¹³ შეიძლება ისე ვუკავშიროთ გაოსორჯოს ამ მიხრო, მაგ. *მონხე*, *მონაშვილი*, *მუხხრძე* და მისთანანი, მაგრამ არა *მოსხვილი*, *მოსიაშვილი* და მისთანანი, რომელნიც მოსეთთანაა დაკავშირებული თქვენს ანა უაზრადღებელი, რომ ზოგიერთი მაცხ-ის მოსეთთან დაკავშირება ძვირადი იღეს.

¹⁴ ეველისებოდ მუშქისა, მუშქისა და მონხის ერთიანობას ([9], 22) და ([10], 239)

ჯერ ერთი, უნდა შევნიშნოთ, რომ -მცხ- წარმოადგენს ნულ-საფეხურიან რედუცირებულ ფუძეს. ძნელი სათქმელია, თუ რომელი ხმოვნის საფეხურის რედუქცია გვაქვს ხა-მცხ-ი-ში (-მეცხ-?), მაგრამ თვით რედუქციის ფაქტი, ეფექტობა, უკუველია; რედუქცია გამოუწვევია ხმოვნით გათავებულ პრეფიქს ხა-ს: ხა-მეცხ- > ხამცხე (შეიძლება ხა-მეცხ- > ხამცხე და სხვა)—ისე, როგორც გვაქვს მაგ. მი-კამხ > მი-კმხ, მიღვას > მი-ღვს, მი-ჩანხ > მი ჩნს და სხვა ([17], 196).

ქართულში უ-ხ-ანოდ ამ ფუძეების დამადასტურებელი რეალური საბუთები არ ჩანს ჯერჯერობით; მიემართოთ უცხოურ წყაროებს.

მხედველობაში გვაქვს უკვე ზემოთ დასახელებული ქეროლოტეს მთავარი-ჯაი, რომელ სახელსაც ივანე ჯავახიშვილი ასე ანალიზებს: „მო-(ან/მა)-+ხხვ-ი-ქო“-ის ძირითად ფორმად უნდა ჩაითვალოს „მოქმ+სსანვიქო“, რომელშიც თვ გამოხატავს ბერძნული სახელის სრულიად უცხო აფრიკატს ქ-ს და, მამასადამე, აქ უნდა გვეჩინდეს საქმე „ქინიქ-თან, რაც ქანეთს უნდა უღრიდეს“ ([9], 24, 25). ს. ჯანაშიას დამატებით მოჰყავს ცნობები სკილაციას (Μεσσαχιας) და პლინიუსის (Μασσιου) და იდენტიფიკაციისათვის სიმძნელებს ხედავს თ-სა და მეტადრე ც-ში¹².

ჩვენ ეფიქრობთ, რომ ორივე ეს სიმძნელე ადვილად დაიძლევა, როგორც კი ამ სიტყვას დაველით ასე: მთავარი-ჯაი: მართლაც, თვ გამოხატავს აფრიკატს, მაგრამ ირა ქ-ს, არამედ ც-ს მოც- (ან მაც-). რა უნდა იყოს „სუ+? არც ამა-ზეა პასუხის გაცემა ძნელი: როცა ძველმა ბერძენმა გაიგონა მოც- (ან მაც-), მან აღიქვა იგი, ხალხური ეტიმოლოგიის ძალით, როგორც მთავარი-თან („ხის კომეი“) დაკავშირებული სიტყვა, ხოლო ეთნიკურად გააანალიზა იგი ელქაჯ („სახ-ელი“) სიტყვის მინათებით, ე. ი. მიიღო კომპოზიტი მთავარი-ჯაი: „ხის კომეებში მოსახლენი“, ან „ხის კომეების სახლად მქონენი“.

თუ პლინიუსის Μασσιου ამავე ფუძეს ეფუთენის და ბერძნული მთავარი ფუძის არ წარმოადგენს, ნაშინ გვექნება დადასტურებული ჩვენი ფუძე ორი ხმოვანწინადაცულ ფუძის სახით. მოც-/მაც-.

აი ეს ფუძე (ან მისი ხმოვანწინადაცულ მეც-) შემოწმებული ძველი სპარსული *mas-* ფუძის სახით *masiua* სახელსა და სემიტური *mas-* ფუძის სახით ელამურ *masi-ia-ur* და ბაბილონურ *masi-ii* სახელებში.

ამ სჭეობებთან ბუნებრივად დაკავშირებული საკითხი ხამცხე-სა და მცხეთა-ს ურთიერთობის შესახებ განხილული აქვს ისტორიულად ივ. ჯავახი-

¹¹ იმავე გვარობის გასაჩვენებლად არც აქ იქნება უსარგებლო. მაგ. ძლიერ ძველი ჩანან მაც-ა-ბერძენი, მაც-მე-ილი და მისთანანი, რომლებშიც მაც- ფუძეა საგულებელი. სანტერესია, თუ სადურია სახელი მაც-

¹² ს. ჯანაშიასგან დაკლებულ ვაზ აგრეთვე ნებლევი ცნობებით. 1) *Μεσσιου*, *unde Messianii* (Eusebii Caesariensis Chronica, Appendix VI, p. 185, SC. 1, 667)*—IV ს. დაშლელი აბ. წ.-აღ. 2) ... ვიფიქრე კალიელი ამბობს, რომ მისთანა მიიღო მისთანადაცების ენა (Μεσσιον-ის) უფრო მთავარი-ჯაი უღასადა. . ჯაჯაჰ უფრო: *masi-*, 8, 25C. 1, 709)*—IV—V საუკუნე აბ. წ.-აღ

¹³ საეჭრადებოა, სხვათა შორის, ისტორიულად, რომ ქეროლოტეს ისინი ნაქვები ქვა-ეფრო სამხრეთით, მიღობ სტრაბონის ეფრო ჩრდილოეთით. ქეროლოტეს კიდევ ეფრო შორეულ სამხრეთ-დასავლეთზე მიუთითება *Mulka*-სა და *masi-*-ს აფრიკატურული (იხ. ზეპარი)

შეილს ([18], 89) და ლინგვისტურად ე. თოფურიას ([19], 10). შეიძლება მათ მიერ მიღებული შედეგების დასახსტებლად გამოდგეს ის, რაც გამოძინარეობს ზემოთქმულიდან: მცხე ფუძე მიღებულია სა-მცხე-საგან მეტაწალიზური გააზრინების გზით; ხოლო აქედანაა წარმოები მცხეთა, როგორც ეს აწვევები აქვს ე. თოფურიას (ნათეს. ბრ. მრ. რიცხ. -თა). მანასადამე, მცხეთა მეორადი ჩანს სამცხე-ს-თან შედარებით—ისე როგორც სამცხე მეორადია ფუძის ურედქციო ფორმასთან (მ ო ც-მ ა ც ხ., მ ო ც-მ ო ც ხ., მე ც-მ ე ც ხ.) შედარებით. თუ რამდენად გამართლდება ისტორიულად ჩვენ მიერ მიღებული შედეგები, ამას იტყვის იმავე ფაქტების ისტორიულად შემთავსებელი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
აკად. ნ. შარის სახელობის
ენის ინსტიტუტი

(შეზიულა რედაქციისი 8 5 1943)

ЯЗЫКОВЕДЕНИЕ

Академик Г. С. АХВЕЛИАНИ

К ВОПРОСУ ОБ ИДЕНТИФИКАЦИИ НАРОДА МАЦИՄԱ АХЕМЕНИДСКИХ КЛИНОПИСЕЙ

Резюме

1. В статье отмечается несоответствие территорий, занимаемых, согласно ахеменидским клинописям, страной Мака и народом мацիւ. Автор обратил внимание на то, что название мацիւ упоминается именно в тех надписях, в которых и народ *kaḫā*, в свою очередь идентифицируемый рядом ученых с колхами; но ни разу не встречается в одном и том же тексте Мака и *kaḫā*. Отмечено автором также, что как в древнеперсидских текстах, так и у Геродота, мацիւ и *mātsya*: *ματσαυαχαι* встречаются почти в конце текстов. Автор допускает возможность идентификации вавилонского названия народа мацიւ, данного в *Dat. Sus-e*, а именно *maḫ-ḫu-ū*, с названием гор в Грузии, в бывшей древнегрузинской провинции *Samsch*, именно *γασο*.

В силу этих соображений автор находит возможным пересмотреть вопрос, считающийся некоторыми учеными разрешенным: название народа мацიւ производят от названия страны Мака.

II. Исходной для автора является основа *maḫ-*, сближаемая им с чередующимися основами *mexx-/mex-* (в *Sa-mex-e*), причем наряду с *mexx-/mex-* допускается существование тех же основ без *x*—показателя множественности в названиях народов. Древнеперсидское *maḫ-* отражает, по мнению автора, древнейшую грузинскую основу *mas-* (или *mex-*, *mos-*), сохранившуюся в виде пережитка в некоторых фамильных именах, а также в древнегреческом названии *ματσαυαχαι*, своим написанием *ματσαυαχαι* грузинскую аффрикату *с*. Это последнее греческое слово, по мнению автора, получилось в результате народно-этимологического осмысления непонятно-

გო для грека слова маза-, отражающего грузинское мес- или мас-. Автор устанавливает все ступени продуктивной основы mesx-/masx-/mosx, mizx-, а также пытается восстановить эту основу без суффикса x—аналогично грузинскому *lao* в греч. *Τάουο*.. Основа -mc(x)- (в Samcxo) представлена автором как редуцированная от основ мес(x)/мас(x)-/мос(x)-. Редукция же обусловлена префиксом с конечным гласным (sa-).

Название древней столицы Грузии Мсхе-та выводится из более древнего, по мнению автора, названия провинции Sa-mcx-e, в котором, в силу народного метаанализа, выдвинулось название народа msxe, давшее в форме родительного падежа множественного числа Mcxeta.

Академия Наук Грузинской ССР
Институт языка имени Н. Я. Марра
Тбилиси

LINGUISTICS

CONCERNING THE IDENTIFICATION OF THE PEOPLE *MAZIYA* OF THE ACHAEMENIDAN CUNEIFORM INSCRIPTIONS

By G. S. AKHVELIDIANI

Summary

I. The author notes the non-coincidence of the territories occupied, according to the Achaemenidan cuneiform inscriptions, by the country of *Maka* and by the people *maziya*. He noticed the fact that the name *maziya* is mentioned in just those inscriptions in which the people *karka* are mentioned, who for their part are identified by some scientists with the kolchians; but *Maku* and *karka* are not once come across in one and the same text. The author also notes that in Old Persian texts and in Herodotus *maziya* and *μάζιοι*:... *μαζασινοχο*. occur nearly at the end of the texts. The author suggests that it is possible to identify the Babylonian name of the people *maziya* given in *Dar Sus.*, namely *qa-du-u*, with the name of some mountains in Georgia, in the former old Georgian province of Samcxo, namely *qadu*.

On the strength of these considerations the author is in a position to re-examine the question regarded, as solved by some scientists: they derive the name of the people *maziya* from the name of the country *Maka*.

II. The author considers that the initial base is *maZ-* which he compares with the alternating bases *mesx-/mcv-* (*sa-mcx-e*); alongside *mesx-/mcx-* the author thinks it is probable that these same bases exist without x—the exponent of the plural in the names of peoples. Old Persian *maZ-* reflects, in the author's opinion, the Old Georgian base *mac-* (or *mec-*, *moc-*) preserved as a survival in some surnames and also in the Old Greek name *μαζασινοχο*. with the spelling *αζ* rendering the Georgian affricate *c*. The latter Greek word, in the author's opinion, was obtained as a result of folk-etymological perversion of the word *μαζα-*, incomprehensible for the Greek, reflecting *mw-* or *max-*.



The author establishes all the stages of the derived base—*mex-/max-/mosx-, musx-* and also tries to restore this base without the suffix *x*—analogous to Georgian *tao* & Greek *Táoγo*-. The base *-m(x)-* (in *Samexē*) is understood by the author as reduced from the bases *me(x)/mac(x)/mao(x)*-. The reduction is conditioned by the prefix with a final vowel (*sa-*).

The author thinks that the name of the old capital of Georgia, *Mexē-ta*, is derived from the older name, in his opinion, *Sa-mex-e*, in which on the strength of folk-metanalysis originated the name of the people *Meve*, giving in the gen. plur. *Mxeta*.

Akademiy of Sciences of the Georgian SSR

The Marr Institute of Languages

Tbilisi

სიბიბლიოგრაფიული სიხშირეობაჲ—ЛИТЕРАТУРА—REFERENCES

1. F. H. Weissbach Die dreisprachige Inschrift Darius Susa c. Zeitschrift für Assyriologie, B 44. 1938, Heft 1/2.
2. A. Meillet. E. Benveniste. Grammaire du vieux-perse, 1931.
3. Hommel Ethnologie und Geographie des Alten Orients 1926
4. Ed. Meyer Geschichte des Altertums, 1915
5. Albrecht Götz. Kleinasien, Arthur Christensen. Die Iranier. Kulturgeschichte des Alten Orients. III. Absch. I. Heft 1931.
6. W. Eilers. Das Volk der Karka in den Achämenideninschriften. Orientalistische Literaturzeitung, 1935, № 4
7. I. V. Prajeda. Geschichte der Meder u. Perser. B II, 1910
8. Iranische Felsreliefs. von Fr Sarre u E. Herzfeld 1908.
9. ივეჯაეახიშვილი ქართველი ერის ისტორია, 1938.
10. ს. ჯანაშია. თბილისი, ტიბარნი, იბერი. ენციკლის მოამბე I, 1937.
11. ვახუშტი აღწერა საბუფოსა საქართველოსა, 1941.
12. H. Mapp Грзуни. Слова «Витязь в барской туче» Илони из Руставы... ИИИ, 1917.
13. ილია შაისურაძე. ძირითადი ფონეტიკური მოკლებები მესტურში, გორის სახ. ქუე-ვი ინსტიტუტის შრომები, ტ. I, 1947
14. გორგჯი წერეთელი. არაზის ბილინგვა, 1942.
15. F. H. Weissbach Die Keilinschriften der Achämeniden 1911
16. H. Mapp К грзуниаским названиям из Месхи. ЗКВ, I, 1925.
17. არჩ. ჩიქობავა. მბუფის საყიბისათვის ძველ ქართულში საქ მევენ. აკადემიის მოამბე, ტ. III, № 2, 1942.
18. ივეჯაეახიშვილი. ქართველი ეოია ისტორია, წ. I, 1913.
19. ვ. თოფჩია. გეოგრაფიულ საბელა-თა სტეფიტისათვის ქართულში. ბენი მეენიერე ბა, 1924, № 11—12
20. H. Mapp. Из послых в Святих XB, τ I.